

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №05/5

2012 წლის 6 იანვარი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ⁵“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №34/5 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშვინი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 თებერვლის ბრძანება №46/5 - ვებგვერდი, 22.02.2012წ.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის ბრძანება №58/5 - ვებგვერდი, 05.03.2012წ.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №118/5 - ვებგვერდი, 21.06.2012წ.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №217/5 - ვებგვერდი, 05.10.2012წ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 2 მაისის ბრძანება №54/5 - ვებგვერდი, 08.05.2013წ.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის ბრძანება №96/5 - ვებგვერდი, 18.07.2013წ.

7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №105/5 - ვებგვერდი, 12.08.2013 წ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი

მუხლი 1. რეგულირების საგანი

ეს წესი განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში – სკოლა) მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა

1. სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლეთა რიცხოვნობის შესახებ ელექტრონული განაცხადის გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – საინფორმაციო სისტემა) ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული განაცხადის ფორმას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 3. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა

1. სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად, საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მართვის ავტომატიზებული საშუალებებით რეგისტრაციის (შემდგომში – რეგისტრაცია) ვადა და სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

1¹. ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

1². ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, სკოლა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე და აღნიშნულის შესახებ აცნობოს საინფორმაციო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის რეგისტრაციას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადისაგან განსხვავებულ ვადაში.

2. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მოსწავლის რეგისტრაციას უზრუნველყოფს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პირადად, მინისტრის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მოსწავლის რეგისტრაციის ფორმის შევსებით.

3. რეგისტრაციისას საინფორმაციო სისტემის მიერ მოსწავლისათვის მინიჭებული უნიკალური კოდის გამოყენებით, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე განახორციელოს ცვლილებები მოსწავლის სარეგისტრაციო მონაცემებში ან გააუქმოს რეგისტრაცია.

4. სკოლის დირექტორი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 1 სამუშაო დღეში შეისწავლოს და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნულის შესახებ აცნობოს საინფორმაციო სისტემას 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების არ/ვერ წარმოდგენის შემთხვევაში მოსწავლის რეგისტრაცია ავტომატურად ბათილია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის ბრძანება №58/ნ - ვებგვერდი, 05.03.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №217/ნ - ვებგვერდი, 05.10.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 18.07.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №105/ნ - ვებგვერდი, 12.08.2013 წ.

მუხლი 3¹. მოსწავლეთა ჩარიცხვა იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი აქვთ პირველკლასელთა ჩარიცხვის და უსასყიდლოდ სწავლების (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა) ვალდებულება,
კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი აქვთ პირველკლასელთა ჩარიცხვის და უსასყიდლოდ სწავლების (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა) ვალდებულება საშუალო საფეხურის დასრულებამდე, ყოველწლიურად უზრუნველყოფენ არაუმეტეს პრივატიზებულ ქონებაში პრივატიზებამდე არსებულ საჯარო სკოლის საშუალო საფეხურდაძლეულ მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი სოციალურად დაუცველი ოჯახების (ამ წესის მიზნებისათვის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 001-ზე ნაკლებია) მოსწავლეების ჩარიცხვას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №118/ნ - ვებგვერდი, 21.06.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 2 მაისის ბრძანება №54/ნ - ვებგვერდი, 08.05.2013წ.

მუხლი 4. მოსწავლის სტატუსის შეჩერება

1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას;

ბ) სკოლაში ჩარიცხული 5 წლის ასაკის მოსწავლე ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პირველი კლასის საგანმანათლებლო პროგრამას და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით ითხოვს მოსწავლის სტატუსის შეჩერებას;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი (გარდა საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირისა) სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) მოსწავლე ოჯახთან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

ე) დაუდგენელია მოსწავლის ადგილსამყოფელი;

ვ) მოსწავლე არაერთგზის, უხეშად არღვევს სკოლის შინაგანაწესს;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული დაფინანსება და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ამის თაობაზე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით,

3. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.

4. მოსწავლე, რომელსაც აღუდგება მოსწავლის სტატუსი, უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს შესაბამის კლასში, თუ მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამა ან ისარგებლოს მობილობით.

5. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართავის საუბველზე, მოსწავლის მშობელს/კანონიერ

წარმომადგენელს გადაეცემა მოსწავლის დაბადების მოწმობა მოსწავლის სტატუსის შეჩერების პერიოდით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 თებერვლის ბრძანება №46/ნ - ვებგვერდი, 22.02.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის ბრძანება №96/ნ - ვებგვერდი, 18.07.2013წ.